საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004271

„ 12 " თებერვალი 2026 წ. ქ. ბორჯომი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საკუთრებაში განსაზღვრა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. ბორჯომი, ვ. ნიჩარაძის I ჩიხი №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ვეი" (ს/ს 406307492)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

ბინისციხის 2021 წლის 30 ივნისის №2-972 ზრძანებით გადაცემული, ბინისციხის 2020 წლის 23 დეკემბრის №2-1208 ზრძანებით ეკუთვნოდა გარემოსდაცვითი გადუდგომლობა (ტ/ნ №123;) (24.03.2010)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004271 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N004271 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 3 ფურცელი

(დანართის №, ვვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის, 57^1 მუხლის პირველი ნაწილის.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლის 3^1 ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გურამ ოსეფაშვილი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე - მაკვალი სახელმწიფო ინსპექტორი ნიკი კოტეტიშვილი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოტეტიშვილი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ელფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის №DES52400000423 და №DES02400000428 ბრძანებების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა შპს "ველი"-ს (ს/კ 406307492) კუთვნილ ნავთობგადამამუშავებელ (საგზაო ბიტუმის) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 ივნისის №2-972 ბრძანებით გადაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (მინისტრის 2020 წლის 23 დეკემბრის №2-1208 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, 2010 წლის 24 მარტის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 ივნისის №2-972 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, მითითებულ ტერიტორიაზე, შპს „ველი"-ს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაზუთიდან საგზაო ბიტუმის მიღება, თუმცა **ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ადგილზე საგზაო ბიტუმის წარმოებას კომპანია არ ახორციელებს** და მინისტრის 2021 წლის 30 ივნისის №2-972 ბრძანებით გაცემული **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხორციელდება ნედლი ნავთობიდან ბენზინის, მაზუთის და დიზელის მიღება/რეალიზაცია.**

ასევე დადგინდა, რომ სარეზერვუარო პარკში მოწყობილი, სხვადასხვა მოცულობის რეზერვუარების გამოყენება ხორციელდება ნედლი ნავთობის, ბენზინის, მაზუთის, ნავთის და დიზელის განსათავსებლად, ნაცვლად ბიტუმისა.

ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტიდან - ნაფტადან, საბოლოო პროდუქტის ბენზინის მისაღებად, ადგილზე ხორციელდება შემოტანილი AI-95 მარკის ბენზინის, ნაფტასა და სპეციალური დანამატების კომპაუდირება (შერევა).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის 1.1 ქვეპუნქტის მიხედვით აღნიშნული საქმიანობა - ნედლი ნავთობის გადამუშავება, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, დადგინდა, რომ კომპანია საქმიანობას ახორციელებდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე, **რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

2. ინსპექტირების შედეგად ასევე დადგინდა, რომ წარმოების ტექნოლოგიაში (წყლის ორთქლის მიმღები საქვაბე, გაგრილების სისტემა) საჭირო მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას კომპანია ახორციელებდა შემდეგ GPS კოორდინატებზე: x-496247, y- 4609740 არსებული ჭიდან სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყალი) მოპოვების ლიცენზიის გარეშე, **რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილისა და 57[1] მუხლის შესაბამისად, შპს „ველი"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №091313 ოქმი, რომელიც თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ, 2025 წლის 5 თებერვლის №4/9533-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით და 57[1] მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ველი"-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 12 თებერვლის №004271 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 12 თებერვლ №004271 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ველი“-ს (ს/კ 406307492) კუთვნილ ნავთობგადამამუშავებელ (საგზაო ბიტუმის) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 ივნისის №2-972 ბრძანებით გადაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (მინისტრის 2020 წლის 23 დეკემბრის №2-1208 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, 2010 წლის 24 მარტის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ველი“ ვალდებულია:**

1. ვინაიდან ინსპექტირებით დადგინდა, რომ კომპანია საქმიანობას ახორციელებდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გარეშე (იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის **დანართი №1-ის პირველი პუნქტი)** და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კომპანიის მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გზშ ანგარიში, ხოლო აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები სააგენტოს 2026 წლის 26 იანვრის №21/540 წერილით ეცნობა კომპანიას, **შპს „ველი“ ვალდებულია,** სააგენტოს 2026 წლის 26 იანვრის №21/540 წერილში წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

2. "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და "საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან გეზღუდებათ მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება** (GPS კოორდინატზე: x-496247, y-4609740), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გარეშე;